



WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #67

აგვისტო-სექტემბერი, 2018

გამოშვებაში

1 ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) განახლებული ვერსია

2 ტრენინგების ციკლი მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებისთვის

3 "CYBER CLASS" - კიბერუსაფრთხოების საფუძვლების სასწავლო კურსი

„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) განახლებული ვერსია გაუშვა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) განახლებული ვერსია გაუშვა. პორტალის განახლებაზე აქტიური სამუშაოები ბოლო რამდენიმე თვის

განმავლობაში მიმდინარეობდა და დღეს მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს განახლებული პლატფორმით, რაც ნიშნავს ახალ დიზაინს, ახალ ელექტრონულ სერვისებს, მოქნილ ნავიგაციასა და გაუმჯობესებულ უსაფრთხოებას.

პორტალით სარგებლობისთვის მომხმარებელს შეუძლია დარეგისტრირდეს როგორც პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის (ID ბარათი) გამოყენებით, ისე მომხმარებლის სახელითა და პაროლით (საქართველოს იუსტიციის სახლებში შესაბამისი პროცედურის გავლის გზით).

პორტალზე ხელმისაწვდომი მომსახურებები შინაარსის მიხედვით დაჯგუფებულია შესაბამის კატეგორიებად (მაგ.: პირადი ინფორმაცია, მუნიციპალიტეტების სერვისები, ბიზნესი, ნებართვები და ლიცენზიები, თანადაფინანსება, სატრანსპორტო, სოციალური მომსახურება, ქონება, გადასახადები, ჯარიმები, კომუნალური გადასახადები და სხვა), რაც მომხმარებელს უადვილებს სასურველი მომსახურების არჩევასა და მისით სარგებლობას (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) პორტალის მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, ასევე სხვადასხვა მომსახურების მიღების მიზნით შეავსოს განაცხადი, საჭიროების შემთხვევაში მასზე გამოიყენოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი, გააგზავნოს შევსებული განაცხადი ადრესატთან და პორტალის მეშვეობით მიიღოს პასუხი.

იმ შემთხვევაში, თუ პორტალის მომხმარებელი იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენელია, მას შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს პორტალზე იურიდიული პირებისათვის განკუთვნილი სერვისები, იურიდიული პირის სახელით.

„ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი 2012 წლიდან მოქმედებს, თუმცა პლატფორმის ასეთი მასშტაბური განახლება დღემდე არ გვექონია. კვლევებზე დაყრდნობით მივიღეთ სურათი, თუ რა ცვლილებებს ითხოვდნენ ჩვენი მომხმარებლები და სწორედ ამ მიმართულებით ვიმუშავებთ. დღეს გვაქვს სრულიად განახლებული დიზაინი და ფუნქციონალი. ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალზე ინტეგრირებულია ისეთი სერვისები, რომლებიც ყველაზე ხშირად ესაჭიროება ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. აღსანიშნავია, რომ პორტალის განახლებულ ვერსიაში ბიზნესისთვის განკუთვნილი არაერთი ახალი სერვისია ხელმისაწვდომი, მათ შორის, „ბიზნეს სახლის“ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სერვისებიც. პორტალის განვითარება ამით არ სრულდება და ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ ახალი სერვისების ინტეგრაციას“, - ნიკოლოზ გაგნიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი MY.GOV.GE წარმოადგენს ონლაინ რესურსს, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ელექტრონული სერვისები. მომხმარებელს საშუალება აქვს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, რამდენიმე მარტივი კომბინაციის განხორციელებით ისარგებლოს სახელმწიფო სტრუქტურების ელექტრონული სერვისებით და მნიშვნელოვნად დაზოგოს როგორც დროითი, ისე ფინანსური რესურსები.

დღეისათვის პორტალზე განთავსებულია 300-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება და 80-მდე კომუნალური გადასახადი.

მუნიციპალიტეტების საჯარო მოხელეებისთვის კვალიფიციური სანდო მომსახურებისა და ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) პრაქტიკული დანიშნულების შესახებ ტრენინგების ციკლი ჩატარდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა“ და ამავე სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ წარმომადგენლებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში ტრენინგების ციკლი ჩატარეს. ტრენინგი განკუთვნილი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების თანამშრომლებისთვის, ისე სახელმწიფო რწმუნებულების - გუბერნატორების ადმინისტრაციების წარმომადგენლებისთვის და ეხებოდა კვალიფიციური სანდო მომსახურებისა და განახლებული ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) პრაქტიკული დანიშნულების საკითხებს. ტრენინგები მიმდინარე წლის 11 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით 8 ქალაქში (თბილისი, რუსთავი, თელავი, ბორჯომი, ზუგდიდი, ქუთაისი, ოზურგეთი, ბათუმი) ჩატარდა (გაგრძელება გვ. 3).



(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2) სატრენინგო კურსი მიზნად ისახავდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპისა და ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე (my.gov.ge) ხელმისაწვდომი ელექტრონული სერვისების გამოყენების პრაქტიკული ასპექტების შესახებ.

„აღსანიშნავია, რომ ხსენებული საკანონმდებლო ვალდებულების შესრულება საჯარო სექტორის მხრიდან გარკვეულ მომზადებას საჭიროებს, რაც გულისხმობს ტექნიკური მხარდაჭერის აუცილებლობას, ცნობიერების გაზრდას ამ სფეროში და საჯარო სექტორში დასაქმებული პირების შესაბამის კომპეტენციას, რომელიც გარკვეულ დროსა და ძალისხმევას, ასევე საჯარო უწყების მხრიდან კოორდინირებულ მართვას მოითხოვს. სწორედ ამ პროცესის მიზანმიმართულად წარმართვისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონის იმპლემენტაციის პროცესის მხარდასაჭერად არის გამზნული ტრენინგების ციკლის ჩატარება. ამასთან, „მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ ახლახანს ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (MY.GOV.GE) განახლებული ვერსია გაუშვა, რომელიც არაერთ ისეთ სერვისს აერთიანებს, სადაც საჭიროა ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენება. შესაბამისად ვგეგმავთ, რომ ტრენინგის მონაწილეებს აღნიშნული პორტალის ფუნქციონალი და პრაქტიკული გამოყენების დეტალებიც გავაცნოთ“, - **ნიკოლოზ გაგნიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

2017 წლის 21 აპრილს მიღებულ იქნა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტის, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს. ზემოხსენებული კანონი ნოვაციებს ითვალისწინებს ქართულ სამართლებრივ სივრცეში, კერძოდ, კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას ენიჭება პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა და დასაშვებად მიიჩნევა ადმინისტრაციულ და სასამართლო სამართალწარმოების პროცესში. ელექტრონულ დოკუმენტზე უარის თქმა მხოლოდ საგამონაკლისო, კერძო შემთხვევებში იქნება შესაძლებელი.



“CYBER CLASS” - კიბერუსაფრთხოების საფუძვლების სასწავლო კურსი სტუდენტებისთვის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფი CERT.GOV.GE დაინტერესებულ სტუდენტებს კვლავ იწვევს სასწავლო კურსზე, რომლის მიზანია პერსპექტიული ახალგაზრდა სპეციალისტების დახმარება კიბერუსაფრთხოების საფუძვლების ათვისებაში, ასევე მათთვის სააგენტოში ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნის გაზიარება.



პროექტი “კიბერ კლასი” (Cyber Class) სტუდენტებს საშუალებას აძლევს გამოიმუშაონ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევები შემდეგ დისციპლინებში: სისტემაზე ინფორმაციის შეგროვება, კომპიუტერული ექსპერტიზა, შეღწევადობის ტესტირება, მავნე კოდის ანალიზი, ე.წ. „Pcap“ და ლოგ ფაილების ანალიზი, ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლები.

იმისათვის, რომ სტუდენტმა შეძლოს აღნიშნული კურსის გავლა, აუცილებელია ფლობდეს საბაზისო ცოდნას შემდეგ სფეროებში: ნეტვორკინგი, კრიპტოგრაფია და ვებ დეველოპმენტი (Networking, Scripting, Web development).

სრული კურსი მოიცავს 7 სასწავლო კვირას. კვირაში გათვალისწინებულია ერთი 2-3 საათიანი ლექცია. ყოველი ლექცია თეორიულ მასალასთან ერთად მოიცავს სპეციალურ ლაბორატორიულ სამუშაოს. კურსისთვის მომზადდება შესაბამისი სახელმძღვანელოები და პრაქტიკული სავარჯიშოები, ასევე მოწვეული იქნება არაერთი ექსპერტი და დარგის სპეციალისტი კონკრეტული თემის მიხედვით პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად.

თითოეული ლექცია ჩატარდება შემდეგი გეგმის მიხედვით:

- პრეზენტაცია და წინასწარ დაგეგმილი თემის მოკლე განხილვა;
- ლაბორატორიულ სამუშაოების ირგვლივ დისკუსიები და სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციების განხილვა;
- წინასწარ განსაზღვრული თემის შესახებ მასალის მიწოდება;
- ლაბორატორიული სამუშაოს ახსნა და დავალების მიცემა.

ახალგაზრდა თაობის განათლება და დახელოვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „კიბერ კლასის“ მიზანია სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა გაიღრმავონ ცოდნა ისეთ სფეროში, როგორცაა კიბერუსაფრთხოება. დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის მიღწევა და შენარჩუნება, რასაც, ბუნებრივია, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის სპეციალისტები ესაჭიროება. ეს არის უნიკალური შანსი ახალგაზრდებისთვის, უშუალოდ დარგის სპეციალისტების მიერ მომზადებული სილაბუსის მიხედვით შეიძინონ საბაზისო ცოდნა კიბერუსაფრთხოების საფუძვლებში (გაგრძელება. დასაწყისი გვ. 4) .

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 4) „კიბერ კლასის“ მორიგი სასწავლო კურსი გაიმართება მიმდინარე წლის 19 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე.

კურსზე რეგისტრაციის მსურველთა განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 3 ოქტომბერი, 2018 (კურსი უფასოა).

დაინტერესებულ სტუდენტებს და სკოლის მოსწავლეებს კურსზე რეგისტრაციისთვის შეუძლიათ თავიანთი CV გამოაგზავნონ შემდეგ მისამართზე: cyberclass@dea.gov.ge

დაინტერესებულ სტუდენტებს დამატებითი ინფორმაციისა და კურსზე რეგისტრაციისთვის შეუძლიათ მიმართონ კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფ CERT.GOV.GE-ს. ტელ.: 291 51 40; ელ.ფოსტა: cyberclass@dea.gov.ge; FB გვერდი: <https://www.facebook.com/certgovge>

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაიცემის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაყვანის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: